

კვლევა

რამდენად ეთიკურად შუქდება
რუსეთთან დაკავშირებული
მოვლენები ქართული
სატელევიზიო არხების, მთავარ
საინფორმაციო გამოშვებებში?

მარიამ შალამბერიძე

კავკასიის უნივერსიტეტი

სარჩევი

სარჩევი.....	1
შესავალი.....	2
ჰიპოთეზა	2
მოხსენების აბსტრაქტი	3
მიზანი.....	3
სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა.....	3
კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა.....	3
სიახლე/ღირებულება.....	3
საკვანძო სიტყვები.....	3
კვლევის აღწერა.....	4
კვლევის შედეგები	4
იმედი	4
მთავარი არხი.....	5
დასკვნა.....	7
გამოყენებული მასალა.....	7

შესავალი

რუსეთთან დაკავშირებული მოვლენები, ჩვენთვის როგორც მეზობელი ქვეყნისთვის ყოველთვის საინტერესოა, თუმცა კიდევ უფრო საინტერესო ხდება იმით, რომ რუსეთის ფედერაციას ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებული აქვს და ურთიერთობა დაძაბულ ფაზაში გვაქვს. ეს ის შემთხვევაა, როცა მეზობელს მტრად აღვიქვამთ, თუმცა მსგავსი სტერეოტიპებისა და შეხედულებების ჩამოყალიბების უფლება მხოლოდ მაყურებელს, ქვეყნის უბრალო მოქალაქეებს აქვთ და არა ჟურნალისტებს, რომლებსაც პირველ რიგში ხალხისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ევალებათ. ეს პროფესია ყოველ ნაბიჯზე ადამიანური გრძნობების გვერდით გადაადებას და ცივი გონებით მუშაობას მოითხოვს, თუმცა ისეთი ომისა და კონფლიქტის დროს, როდესაც საქმე შენს ქვეყანას ეხება, ეს ყველაფერი ძალიან რთულდება. სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თუ რატომ დავინტერესდები მე, როგორც მკვლევარი ამ თემით. საინტერესოა რამდენად ახერხებენ ქართველი ჟურნალისტები თავიანთი ქვეყნის მიმართ ემპათიის გვერდით გადაადებას და ოკუპანტ ქვეყანასთან დაკავშირებული ინფორმაციების მაქსიმალურად ობიექტურად გადმოცემას. ინფორმაციის სიზუსტე და ობიექტურობა ხელს უწყობს კონფლიქტის სრული სურათის დანახვას, სიძულვილის ენით გადმოცემული ამბავი კი, კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას. მედია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს, ეს კი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია, თუ რატომ არის აღნიშნული კვლევის შედეგები საინტერესო. კვლევის პროცესში ჩვენ პასუხს გავცეთ ისეთ მნიშვნელოვან შეკითხვებს როგორცაა - რამდენად ეთიკურად შუქდება რუსეთთან დაკავშირებული მოვლენები და ახდენს, თუ არა მედია საშუალებები საქართველოში რუსეთთან დაკავშირებული სტიგმებისა და სტერეოტიპების ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

ჰიპოთეზა

როგორც ავტორი ვფიქრობ, რომ კვლევის პროცესში სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებს დავაფიქსირებ და ჟურნალისტური ეთიკის ნორმები, როგორცაა მაგალითად ამბის ობიექტურად გაშუქება დარღვეული, არა ერთ შემთხვევაში იქნება, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოში ჟურნალისტური პროფესიონალიზმი რუსეთის ამბების გაშუქებისას არ ქრება.

მოხსენების აბსტრაქტი

მიზანი

კვლევის მიზანია, დავადგინოთ რამდენად ეთიკურად შუქდება რუსეთთან დაკავშირებული მოვლენები ქართულ სატელევიზიო არხებზე. ვინაიდან ფაქტია, რომ რუსეთის ფედერაციას საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებული აქვს და საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთს მტრად აღიქვამს, საინტერესოა რამდენად ახერხებს ქართული მედია დაიცვას ჟურნალისტური ეთიკის ნორმები და რუსეთთან დაკავშირებული მოვლენები ობიექტურად, სიძულვილის ენის გამოყენების გარეშე გააშუქოს.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა

საკვლევი შევითხვისთვის პასუხის გასაცემად, ვატარებ თვისებრივ კვლევას, კერძოდ კონტენტ ანალიზის მეთოდის მიხედვით დავაკვირდები 2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით ორი სატელევიზიო არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს. შევისწავლი მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გაშვებულ რუსეთთან დაკავშირებულ სიუჟეტებს და თითოეულ სიუჟეტს განვიხილავ საქართველოს ჟურნალისტური ქარტიის პრინციპების მიხედვით. ორ სატელევიზიო არხს, „იმედს“ და „მთავარს“ ვარჩევ რეიტინგებში მოწინავე პოზიციის გამო; კვლევის ფარგლებში ვაკვირდები მთავარი საინფორმაციო გამოშვებას, რადგან სადამოს ეთერს ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს.

კვლევის შეზღუდვები (ხარვეზები)/გავლენა

შეზღუდული დროისა და რესურსის გამო, კვლევის ფარგლებში ვაკვირდებით მხოლოდ 3 თვის მონაცემებს, რამაც შეიძლება ვერ მოგვცეს სრული სურათის დანახვის შესაძლებლობა.

სიახლე/ღირებულება

კვლევის შედეგი მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება, როგორც ექსპერტებისთვის, ასევე თავად ტელევიზიებისთვისა და ჟურნალისტებისთვის. კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზები ქართული მედიისთვის კონფლიქტებთან უფრო ფრთხილი და ზუსტი მუშაობის აუცილებლობის მითითება იქნება.

საკვანძო სიტყვები

ჟურნალისტური ეთიკა; კონფლიქტების გაშუქება; ქარტია.

კვლევის აღწერა

შევისწავლე 01.01.2020 დან 31.03.2020-მდე, ორი მედია საშუალების, „იმედის“ და „მთავარის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვებები. გამოვყავი თითოეული სიუჟეტი, რომელსაც რუსეთის ფედერაციასთან რაიმე სახის კავშირი ჰქონდა და დავიწყე თითოეული მათგანის დეტალური კონტენტ ანალიზი. განხილვისთვის გამოვიყენე “პრაქტიკული სამშვიდობო ჟურნალისტიკის“ 17-პუნქტიანი გეგმის მოდელი, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ნორმები. კვლევის პროცესში აღნიშნული პერიოდის კონტენტ ანალიზის გარდა, თემასთან დაკავშირებით მოვიძიე ქარტიაში შესული განცხადებები, ქარტიაში 2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე არც ერთი განცხადება არ არის შესული რუსეთთან დაკავშირებული მოვლენების არაეთიკურ გაშუქებაზე.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად ორივე არხისთვის დამახასიათებელი ბევრი დეტალი გამოიკვეთა, ძირითადად ერთსადაიმავე სიახლეებს დაუთმეს საეთერო დრო მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, თუმცა განსხვავებული იყო გაშუქების სტილი. საერთო მახასიათებლებში აუცილებელია ვთქვათ, რომ ჟურნალისტები რუსეთს ოკუპანტს უწოდებენ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ხელისუფლების წევრებს კი დეფაქტო ხელისუფლებას ან ე.წ ხელისუფლება. აუცილებელია ავლნიშნოთ ის ფაქტი, რომ ჟურნალისტები რუსეთს „ოკუპანტ რუსეთს“ მხოლოდ მაშინ უწოდებენ, როდესაც ნიუსი ოკუპირებულ ტერიტორიებს ან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ეხება. შემოგთავაზებთ რუსეთთან დაკავშირებულ რამდენიმე სიახლეს, რომელიც ორივე არხის მთავარ საინფორმაციოში მოხვდა.

იმედი:

- 3 იანვარს „ქრონიკა“ მაყურებელს პერევი-ქარძმანის ე.წ გამოშვები პუნქტის გახსნასთან დაკავშირებით სიუჟეტს სთავაზობს, სადაც წამყვანები და ჟურნალისტები რუსეთს ოკუპანტად მოიხსენიებენ, ცხინვალის ხელისუფლებას დეფაქტო ხელისუფლებად ან ცხინვალის მარიონეტულ რეჟიმად, ახალგორის ტერიტორიებს კი

ოკუპირებულად, ჟურნალისტი სიუჟეტის მანძილზე არა ერთხელ აღნიშნავს, რომ დეფაქტო ხელისუფლების ქმედებები უკანონოა. რეპორტაჟში გვხვდება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის კომენტარი აღნიშნულ საკითხზე, ჩვენ ასევე მოვისმინეთ რამდენიმე ადგილობრივის კომენტარიც. არ ჩანს მეორე მხარის კომენტარი, არც ის, რომ ჟურნალისტმა მეორე მხარის რაიმე სახის კომენტარის მოპოვებას ეცადა. ეს ფაქტი არაობიექტურობის ეჭვს აჩენს. სიუჟეტი არ გასულა მთავარის ეთერში.

- 15 იანვარს „ქრონიკის“ ეთერში რუსეთთან დაკავშირებული ნიუსი მოხვდა - „რუსეთის მტავრობა გადადგა“ აღნიშნული თემა გაშუქდა როგორც სხვა უცხოეთის ამბები, ტელე არხი კადრ-სინქრონით შემოიფარგლა.
- 20 და 21 თებერვალს ორივე ტელევიზიაზე გაშუქდა რუსეთის მხრიდან, საქართველოზე კიბერშეტევის ფაქტი, აღსანიშნავია, რომ ამ სიახლის გაშუქებისას არც ერთ საინფორმაციოს არც ერთხელ უწოდებია რუსეთისთვის ოკუპანტი. ორივე ტელევიზიამ აქცენტი საერთაშორისო პარტნიორებზე გააკეთა, არც ერთ სიუჟეტში არ გვინახავს რუსეთის მხრიდან რაიმე სახის კომენტარი.
- მორიგი ყველაზე საინტერესო ამბავი, რომელიც კვლევის პერიოდში გამოვიძიე, კორონა ვირუსთან დაკავშირებით რუსეთის მონაცემებს ეძღვნება. მას შემდეგ, რაც რუსულ მედია საშუალებაზე გამოჩნდა რუსი პროფესორის ინტერვიო, რომელიც ამბობდა, რომ რუსეთი კორონა ვირუსით დაავადებულებისა და გარდაცვლილების მონაცემებს მალავდა, ორივე არხზე ეს ამბავი სხვადასხვაგვარად გაშუქდა. იმედი უფრო პროფესიონალურად მიუდგა ამ საკითხს და მაცურებელს უფრო მეტად დაზუსტებული ინფორმაცია აჩვენა, ამაში იგულისხმება ის, რომ ქრონიკა არ დაეყრდნო მხოლოდ ერთი წყაროს მოსაზრებას და აჩვენა სხვადასხვა პოზიციები ამ თემასთან დაკავშირებით, „მთავარის“ ჟურნალისტი კი ერთი წყაროს ინფორმაციის მიხედვით საზოგადოებას ვარაუდი ფაქტის სახით წარუდგინა, რაც ჟურნალისტური ქარტიის 1-ლი პრინციპის (ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას - მიიროს ზუსტი ინფორმაცია) უხეშ დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს.

მთავარი არხი:

- მთავარი არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვება 10 იანვარს აფხაზეთში მიმდინარე არჩევნების გამო დაპირისპირებას აშუქებს, სიუჟეტს „აფხაზეთი ომის ზღვარზე“ ჰქვია. კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის ხელისუფლება ჩაერია, მთავარის ჟურნალისტებმა კი ეს ფაქტი შემდეგნაირად აღწერეს - „ვითარების

მოსაგვარებლად პუტინმა ოკუპირებულ რეგიონში, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე გაგზავნა“. სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს - „ოკუპირებულ რეგიონში არასტაბილური ვითარება სწორედ რუსეთის ინტერესებში შედის“ ბუნდოვანია, ეს რის საფუძველზეა ნათქვამი, ჟურნალისტი ციტირებს, თუ უბრალოდ თავის აზრს ამბობს. სიუჟეტში გვხვდება რამდენიმე კომენტარი აფხაზეთში არსებული ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისა, ასევე ქართული მხარის ოფიციალური პირებისა და უბრალოდ საქართველოს მოქალაქეების კომენტარები, თუმცა არ გვხვდება, არც რუსული მხარის კომენტარი, მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტში რუსეთის მხარე ხშირად არის დამნაშავეის პოზიციაში, ასევე არ გვხვდება არც ერთი აფხაზეთში უბრალო მაცხოვრებლის კომენტარი, ნაჩვენებია, თუ როგორ ემინია საქართველოს მოქალაქეს არ ჩაიკეტოს საზღვრები და არ დარჩეს აფხაზეთში, თუმცა არ ვიცით თავად აფხაზეთში მაცხოვრებელს რისი ემინია. ეს ფაქტი არაობიექტურობის საფუძვლიან ეჭვს აჩენს და შესაძლოა სტიგმებისა და სტერეოტიპების წარმოქმნის წახალისებადაც მივიჩნიოთ, მინიმუმ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული ფაქტი ნამდვილად არ არის მშვიდობაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკის მაგალითი. „მთავარისგან“ განსხვავებით „ქრონიკის“ წამყვანები თემას ასე ხსნიან - „მოსკოვი დეფაქტო აფხაზეთში უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს გაგზავნის“. იმედი ამ შემთხვევაში უფრო გამართულ სიუჟეტს გვთავაზობს, ჟურნალისტები ეყრდნობიან ოფიციალურ წყაროებს, მათ მოყვანილი აქვთ ინფორმაციები, როგორც აფხაზური ისე რუსული მედია საშუალებებიდანაც.

- 21 იანვარს „მთავარი“ გაიხსნა თემით, რომ ბიძინა ივანიშვილი ვლადიმერ პუტინს შეადარეს, ჟურნალისტები პუტინს დიქტატორს უწოდებენ. ამ დღეს რუსეთთან დაკავშირებული კიდევ ერთი სიახლე გაშუქდა. გუგუთიანთკარში განახლებული ე.წ ბორდერიზაციის შესახებ. „მთავარმა“ სიუჟეტი მოამზადა, სადაც რესპონდენტები მხოლოდ მავთულხლართებს აქვთ მცხოვრებლებია, თუმცა ვერ გავიგეთ თუ რა ხდებოდა მავთულ ხლართებს იქეთ. მედია ამ შემთხვევაში ისევ არ დაინტერესდა რუსეთის პოზიციით, რაც შეეხება იმედს, იმედმა სიუჟეტის გაკეთება ზედმეტად მიიჩნია და ე.წ კადრ-სინქრონით დაკმაყოფილდა.

დასკვნა

იმედი - რუსეთთან დაკავშირებულ მოვლენებს უფრო ფრთხილად აშუქებს, არ იკვეთება სიძულვილის ენა, ნაკლებია ეთიკასთან დაკავშირებული ხარვეზები, შეიძლება ითქვას, რომ იმედი რუსეთთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქებისას მაქსიმალურ პროფესიონალიზმს ამჟღავნებს. არხი რუსეთს მხოლოდ მაშინ არ აშუქებს, როდესაც რაიმეს „აშავებს“, ქრონიკა ისევე უზრუნველყოფს რუსეთის ამბების გაშუქებას, როგორც სხვა უცხოეთის ამბების გაშუქებას.

მთავარი - კვლევის ფარგლებში შესწავლილი მასალიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მთავარი“ რუსეთის ამბებით არ ინტერესდება მანამ, სანამ ამბავი საქართველოსთან რაიმე კავშირში არ იქნება. ასევე აღსანიშნავია ის, რომ მთავარი მთლიან რუსეთს ერთი ადამიანის, ვლადიმერ პუტინის როლში წარმოგვიდგენს, არ ფიქსირდება სიძულვილის ენა, თუმცა აშკარაა, რომ რუსეთთან დაკავშირებულ მოვლენებში „მთავარი“ რუსეთს ყოველთვის „დამნაშავედ“ წარმოაჩენს.

კვლევის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მედია რუსეთის ამბების გაშუქების დროს ცოტათი უფრო არაობიექტური ხდება მაშინ, როდესაც ამბავი როგორღაც საქართველოსაც უკავშირდება, მიუხედავად ამისა, სიუჟეტებში არ შეინიშნება ბევრი უხეში დარღვევა. ასევე აღსანიშნავია, რომ ქართული მედია რუსეთის მხრიდან კომენტარებს ან რაიმე სახის სხვა კომუნიკაციას სიუჟეტებისთვის უბრალოდ არ ცნობს.

გამოყენებული მასალა:

[საქართველოს ჟურნალისტური ქარტიის პრინციპები](#)

[სამშვიდობო ჟურნალისტიკა](#)

[მთავარი არხის Youtube არხი](#)

[იმედის Youtube არხი](#)